



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1907
21/11/2018

ქალაქი ბათუმი

1907-05-4-201811211128



არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლა“-სათვის ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის და მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ა. ბაჟაშვილის 2018 წლის 16 ნოემბრის №3322-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლა“-ს უსასყიდლო უზუფრუქტის წესით გადაეცეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ახალშენში მდებარე 552 კვ.მ არსასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 194,97 კვ.მ შენობა-ნაგებობასთან ერთად (ს/კ 22.23.05.263), შემდგომში ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლა“-ის არსებობის პერიოდით, ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლა“-ის ახალშენის ფილიალის განთავსების მიზნით.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელს თეიმურაზ გაწერელიას პ/ნ 61001034058 მიენიჭოს უფლებამოსილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გააფორმოს ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლა“-სთან უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება, ხოლო მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილებამ (ანა ბაჟაშვილი) უზრუნველყოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3. ბრძანება შეიძებნა გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სადაც მხარეს წარმოადგენს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

